

# ფიქსიკა

№3, 2012



სამგაბო  
108-3  
ს მ ც

# ❖ სვეტიცხოველი ❖

სვეტიცხოვლის ტაძარი, რომელშიც საუფლო კვართია დასვენებული, საქართველოს ეკლესიის გულია.

ივლისის თვეში ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ორ უდიდეს რელიგიურ დღესასწაულს აღნიშნავს: 12 ივლისს პეტრე-პავლობას ვდღესასწაულობთ, 13 ივლისს კი ეკლესია ქრისტეს თორმეტ მოციქულს ერთად იხსენიებს.

პეტრე-პავლობა მნიშვნელოვანი საკლესიო დღესასწაულია. ამ დღეს მოიხსენიებიან წმიდა „მოციქულთა თავნი“ — პეტრე და პავლე.

უფლის სათნომყოფელნი — პეტრე და პავლე — თავიანთი ღვანლით იმდენად გამოირჩნენ ქრისტეს მონაფეებს შორის, რომ ეკლესიამ წმინდანებს „თავნი მოციქულნი“ უწოდა და ერთ დღეს დაანესა მათი ხსენება.

პეტრე წარმოშობით გალილეველი იყო. იგი თავის ძმასთან, ანდრეასთან ერთად მეთევზეობით არჩენდა ოჯახს. სანამ ქრისტეს შეუდგებოდა, გალილეველ მეზადურს სიმონი ერქვა, ხოლო პეტრე (ბერძნ. Πέτρος (Petros), რაც ქართულად ნიშნავს კლდეს) მას თვით უფალმა დაარქვა მისი მტკიცე რწმენისა და გულმოდგინებისთვის. და თუმცა შემდეგ ღმერთმა, თავისი მიუწვდომელი განგებულებით დაუშვა პეტრე მოციქულის სამგზის განდგომა უფლისგან, მან წრფელი სინანულითა და ცხარე ცრემლთა ღვრით გამოსიყიდა დანაშაული და შენდობაც მიიღო. პეტრე მოციქულთაგან პირველი მივიდა უფლის საფლავთან. მან პირველმა იქადაგა უფლის მკვდრეთით აღდგომა და მაცხოვრის მკვლევლობაში იუდეველები ამხილა; მანვე პირველად იქადაგა სახარება წარმართთა შორის; ქადაგებით შემოიარა იუდეა და გალილეა; 67 წელს, იმპერატორ ნერონის მიერ ქრისტიანთა დევნის დროს, პეტრე შეიპყრეს რომში და აწამეს. მისივე თხოვნით იგი თავდაღმა გაუკრავთ ჯვარზე: პეტრე მოციქულმა ღირსად არ მიიჩნია თავი, რომ უფლის მსგავსად ჯვარცმულიყო.

პავლე, ქრისტეს ერთ-ერთი უდიდესი მოციქული და განმანათლებელი, პეტრესთან ერთად „მოციქულთა თავად“ იწოდება. პავლე იუდეველი იყო. დაბადებულია წარჩინებულთა ოჯახში. მოქცევამდე სავლე ერქვა. თავდაპირველად მონანილეობდა ქრისტიანთა დევნაში, მაგრამ დამასკის გზაზე ქრისტეს სასწაულებრივმა ხილვამ მოაქცია და ამის შემდეგ ქრისტიანობის დაუცხრომელი მქადაგებელი გახდა. ქრისტიანობის გასავრცელებლად სამგზის იმოგზაურა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში არაბეთიდან ესპანეთამდე. მან მოაქცია იმპერატორის მელვინეთუხუცესი, რისთვისაც სასტიკი განაჩენი გამოუტანეს — თავი მოჰკვეთეს.



პეტრე-პავლობის მომდევნო დღეს აღინიშნება „კრება წმიდათა დიდებულთა და ყოველად ქებულთა ათორმეტთა მოციქულთა“ — სვეტიცხოვლობის დღესასწაული. ცნობილია, რომ საქართველოს პირველი საპატრიარქო ტაძარი, რომელიც მცხეთაში ძველი, IV საუკუნის ეკლესიის ადგილას აშენდა, 12 მოციქულის სახელობისაა.

**(სვეტიცხოვლობას წელიწადში ორჯერ ვდღესასწაულობთ: 14 ოქტომბერს ქრისტეს კვართს მოვიხსენიებთ, 13 ივლისის კი — ქრისტეს ყველა მოციქულს).**

მაცხოვრის თორმეტი მოციქულის სახელებია: პეტრე, ანდრია პირველწოდებული, იაკობი, იოანე, მათე, ფილიპე, ბართლომე, თომა, იაკობ ალფესის ძე, თადეოსი, სვიმონ კანანელი, იუდა ისკარიოტელი.

„კრება წმიდათა დიდებულთა ყოველად ქებულთა ათორმეტთა მოციქულთა“ უძველესი დღესასწაულია. ეკლესიას ჭეშმარიტების ამ ქადაგთაგან თითოეულის ღვანლის მოსაგონებლად საგანგებო დღე აქვს დაწესებული, მაგრამ პეტრე-პავლობის მოდევნო დღეს ყველა მათგანს ერთად იხსენიებს. ცნობები ამ დღესასწაულის აღნიშვნის შესახებ IV საუკუნიდან მოგვეპოვება.

**მოციქული ნიშნავს წარგზავნილს, დესპანს. („ციქუ“ — ძვ. ქართ. — ვაგზავნა, მსახურება). თვით უფალ იესო ქრისტეს ეწოდება „მოციქული იგი და მღვდელთმოდლუარი“, რადგან იგი მამაღმერთის მიერ იყო მოვლინებული.**

ქრისტეს სიყვარულით მოციქულებმა მიატოვეს ყოველივე — სახლი, ოჯახი, სამუშაო, მიატოვეს თავიანთი ძველი ინტერესები, მისწრაფებები და ქრისტეს შეუდგნენ (გაჰყვნენ). მუდამ თან სდევდნენ მაცხოვარს მისი ამქვეყნიური სიცოცხლის დროს და მის სიხარულსა და მწუხარებას იზიარებდნენ.

წმიდა მოციქულებმა იღვანეს, მოიარეს მთელი მსოფლიო, „ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა მათი“. წმიდა მოციქულები არიან პირველი წმიდანები. დიდია მათი ღვანლი.

„კრება წმიდათა დიდებულთა ყოველად ქებულთა ათორმეტთა მოციქულთა“ ეკლესიის ერთიანობას ნიშნავს და სვეტიცხოვლობაც — ქართული ეკლესიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღესასწაული — ქართველების სულიერი ერთობის სიმბოლოდ მიიჩნევა.



# თეთრი ბელი და ფერადი უინულოქანი ოქაქანი

თეთრი ბელი თავის მშობლებთან, თეთრ დათვებთან ერთად დედამიწის ყველაზე თეთრ კუნძულზე ცხოვრობდა. წელიწადის ნებისმიერ დროს ირგვლივ თოვლი იდო, ყინვა უჭერდა და ყველაფერს თეთრად გაუდიოდა ქათქათი. საერთოდ, თეთრ ბელს სხვა ფერი არასოდეს ენახა, თუ ცისფერ ცას და ხანდახან გამოჩენილ მზის ოქროსფერ სხივს არ ჩავთვლით, რომელზედაც თოვლი ისე ბრწყინავდა, რომ თვალის გასწორება დათვებსაც კი უჭირდათ. მისი წინაპრები ისე იბადებოდნენ და კვდებოდნენ, არ იცოდნენ, არსებობდა თუ არა ამქვეყნად ისეთი ფერადი და ლამაზი სამყარო, რომელშიც, მაგალითად, ჩვენ ვცხოვრობთ.

წესით, არც ჩვენი ბელი უნდა ყოფილიყო გამონაკლისი, მაგრამ ერთი უცნაური ამბის შემდეგ წარმოდგენა შეეცვალა: ღამით სიზმარი ნახა, საოცარი, ლამაზი, ფერადი სიზმარი, რომელშიც ხეები მწვანე იყო, ყვავილები წითელ-ყვითელი, ზღვა — ლურჯი და ყველაფერი ერთად — ისეთი ლამაზი, ისეთი ლამაზი, რომ მოსვენება დაეკარგა. დილით, თვალები გაახილა თუ არა, მშობლებს მოუყვა თავის სიზმარს და სთხოვა, იმ ქვეყანაში წამიყვანეთ, სადაც ასეთი ფერებიანო. შეწუხდნენ დედა და მამა დათვები — ჩვენი სახლი აქ არის და სხვაგან ვერსად წავალთ. საერთოდ, წარმოდგენა არა გვაქვს, არის თუ არა სადმე ასეთი ქვეყანაო, — აჩიჩქეს მხრები.



დაღონდა ბელი, ძალიან დაღონდა, ატირდა. თვალებიდან ცრემლები სცვიოდა და მაშინვე ყინულის პატარა ნამცეცეებად იქცეოდა. უცებ, სად იყო და სად არა, თოლია მოფრინდა.

— რამ დაგაღონა, რად ტირი? — ჰკითხა ბელს.

— ფერად ქვეყანაში მინდა წასვლა, — დაინუნუნა ბელმა.

— შენ საიდან იცი, რომ ასეთი ქვეყანა არსებობს? — გაოცდა თოლია.

— ვიცი, სიზმარში ვნახე. მეც მინდა ლამაზი ფერების ნახვა, — მოუმატა ტირილს ბელმა. თოლიამ ამოიოხრა და სადღაც გაფრინდა. გავიდა ერთი დღე, ორი, სამი, ოთხი და... თოლია ისევ დაბრუნდა. ნისკარტით უცნაური კოლოფი მოიტანა. კოლოფში მრგვალი, ფერადი საღებავები და ფუნჯი ენყო. მისცა ბელს და უთხრა:

— ახლა შეგიძლია შენ თვითონ მოხატო შენი კუნძული.

გაიხარა ბელმა. აიღო ფუნჯი და თოვლს ყვავილები მიახატა. მერე მწვანე საღებავით ბალახიც დახატა, ბურქებიც, ლურჯით კი პატარა რუც გამოიყვანა. მალე მთელი კუნძული გააფერადა. ირგვლივ ისეთი სილამაზე იყო, დათვები გაოცებას ვერ მალავდნენ. გამხიარულდა, აჭრელდა შავ-თეთრი კუნძული. აქამდე თუ ირგვლივ მონყენილობა სუფევდა, ახლა ყველა გამოცოცხლდა. ყველაზე მეტად ბელს უხაროდა. მოსწონდა ახალი გარემო და თავს ისე გრძნობდა, თითქოს თავის ლამაზ სიზმარში დაბრუნდაო.

იმ დღიდან აღარ დაუნუნუნია; არც სამშობლოს დატოვებაზე დაუძრავს კრინტი. თოლიას დიდი მადლობა გადაუხადა და აღარასოდეს უტირია. ამის შემდეგ ყოველ დილით კარგ გუნებაზე იღვიძებდა, ვინაიდან იცოდა, რომ თვალს არ მოსჭრიდა ერთფეროვანი თეთრი სიკაშკაშე.

მხატვარი  
ნანა სანაია





მხატვარი  
ლანს სულაკაური



# გაფიქვი პიუზია

ვასილ გულუური



დიდი ხანი არის,  
 ორი მძღის წინ  
 მომხდარა,  
 სამკერ-  
 ვალო  
 ტყის  
 პირას  
 გახსნა  
 თერძმა  
 კოდალამ.  
 თურმე  
 ახალ  
 ნიშუშებს  
 კოლექციას  
 ამატებს,  
 შემოდგომა-  
 ზამთრისთვის  
 კერავს მოდურ  
**ლაბადებს.**

შირაფმა თქვა - აცივდა  
 და იმ თერძთან მეც მივალ,  
 შევიკერავ ლაბადას, თორემ უკვე შემეცოდება,  
 თერძმა უთხრა - ლაბადას ცივდა,  
 შეგიკერავ, შირაფო,  
 მაგრამ ისე გრძელი ხარ,  
 არ დაჯდება იაფი.

აფხაზი  
 თქვა: - რას ვიზამ,

შევიკერე ისე რამე

რა გავიკერავ  
 ისე რამე კისერო.



# „ნიაც ენითხელ ცხოვლად სულის დააჩნდების“

მწერლები იხსენებენ თავიანთ სიყმაწვილეს.

## პაჭა-ფშაველა – „ჩამი წუთისოფელი“ (ფრაგმენტები)



**მ**უვისმე გეპრიანებათ ჩემი ვინაობის გაგება და გაცნობა, არ დავიზარებ, მოგახსენებთ: მე ვარ წმინდა ფშაველი ჩამომავლობით, როგორც დედით, ისე მამით. დედაჩემი გულქანი იყო სოფელ სხლოვნიდან, ფხიკლიანთ გვარისა...

წერა-კითხვა დედაჩემმა არ იცოდა, თუმცა ბუნებით ფრიად ნიჭიერი იყო, შესანიშნავი მეოჯახე და მოწყალე, გლახის გამკითხველი, მეზობლის დამხმარე...

ჩვენი სახლი ზედ გზის პირას იდგა და განუწყვეტლივ მიდ-მოდიოდა მგზავრი – თუ ფშაველი, თუ ხევსური. დედაჩემი არ უყურებდა იმას, ვინ შეძლებული იყო, ვინ მაძლარი, ყველა მშვიერი ეგონა და ყველას უმასპინძლდებოდა: „დაისვენეთ, პური გემშევათ, შვილო!“ – ეს იყო პირველი მისი სიტყვები შეხვედრის დროს. ამის გამო ჩვენს სახლში გამოუღლევი იყო სტუმარი...

მამაჩემი პავლე, ეს პატარა ტანის კაცი, განხორციელებული მხნეობა, ენერჯია იყო, ამასთანვე იშვიათი ნიჭის პატრონი, ორატორი, ცნობისმოყვარე და მნიგნობარი. გარდა სასულიეროსი, ქართულ ენაზე წიგნი არ მოიპოვებოდა, იმას არ შეეძინა, არ წაეკითხა. დღე და ღამეს, რომ იტყვიან, ასწორებდა, არ იცოდა, ძილი რა იყო, და საშინლად ეჯავრებოდა, ჩვენ, სკოლიდან „კანიკულებში“ შინ დაბრუნებულნი, დილის ძილს რომ გავიბრტყელებდით.

დანაშაულობისათვის სიტყვით სასტიკად შვილების დამსჯელი, უმისოდ ჩვენი ტოლი და ამხანაგი იყო, გვებაასებოდა ათას საგანზე, საბაასო საგანს თავადვე გამოსძებნიდა. უყვარდა დიდებულ გამოჩენილ ისტორიულ პირებზე ლაპარაკი. დავით აღმაშენებელი უყვარდა ყველაზე მეტად ჩვენს მეფეებში, აღტაცებით იტყოდა ხოლმე: „იცით, დავით აღმაშენებელს წიგნების კითხვა როგორ უყვარდა? ნადირობის დროსაც კი, როცა სადმე მოსარეკში გეზზე იდგა და ნადირს უცდიდა, ცალ ხელში წიგნი ეჭირა და მეორეში — მშვილდ-ისარიო...“

მამაჩემს სკოლა თვალთ არ ენახა, „ან-ბანი“ მწყემსობაში შეესწავლა ჩუმად, ქურდულად, რადგან დედ-მამა უშლიდა თურმე სწავლას. მამა თოფით დასდევდა მოსაკლავად, სწავლა ეშმაკეული საქმეაო. მაგრამ მამაჩემი თურმე თავისას არ იშლიდა, განაგრძობდა სწავლას, წერდა სიბ ქვებზე, რაიც ფშავის ხევში მრავალია. ქალაღლს ვინ აღირსებდა ან კი?

მე როცა მამაჩემი ვიცანი მამად, მაშინ იგი მთავარ-დიაკვნად იყო სოფ. მაღაროსკარში; როცა კი შინ იმყოფებოდა, მუდამ მიაბობდა მოთხრობებს ძველი საღმრთო ისტორიიდან, წერა-კითხვას მასწავლიდა ძველებურ წესზე: დაუჯდებოდა ხორცს ხინკლისთვის საკეფლად





ფიცარზე, იქვე ტახტზე მეც დავუჯდებოდი პირდაპირ და ვუგდებდი გაფაციცებით ყურს იმის ტკბილ საუბარს, რადგან „ძველი ალექსისა“ ზოგ-ზოგი მოთხრობა მეტისმეტად მომწონდა; ჩემს ყურადღებას იზიდავდა: დავითისგან გოლიათის დამარცხება, სამსონ ძლიერის მოქმედებანი...



ჩემი თავი სამსონ ძლიერად მყავდა წარმოდგენილი, რომლის ძალა გრძელ თმებში იყო: დედაჩემი ამბობდა ჩემზე, დიდი თმა ჰქონდა, როცა დამებადაო, თითქმის თვალებს უფარავდაო, და ვეშარებოდი: თმა რად მომკრიჭეთ-მეთქი. მაინც ამ „თმიანობამ“ თავის თავზე წარმოდგენა განმიდიდა, რაღაც არაჩვეულებრივ ადამიანად მომაჩვენა ჩემი თავი და დამისახა არაჩვეულებრივი მომავალი.

რვა წლამდე ვიზრდებოდი ძველ წიგნებზე: ვეფხის-ტყაოსანი შეიქმნა ჩემს საყვარელ საკითხავ წიგნად; ერთხელ წაკითხვას როდი ვჯერდებოდი, რამდენჯერმე უნდა ერთი და იგივე გადამეკითხა. საგმირო ამბებს დიდ აღტაცებაში მოვყავდი და სწორედ ის ხანა დაედვა საძირკვლად, ლიბოდ, ჩემს შემოქმედებას.

რვა წლისა თელავში სასულიერო სასწავლებელში მიმაბარეს. სასწავლებელში ყოფნამ ჩემს გულსა და გონებას ვერაფერი შეჰმატა, უვარგისი სისტემა სწავლისა ვერ აკმაყოფილებდა ჩემს ცნობისმოყვარეობას.. იძულებული ვიყავ მიმემართა სხვადასხვა წიგნებისთვის, რაც ძნელი საშოვარი აღმოჩნდა. ვკითხულობდი რაც შემხვდებოდა, განურჩევლად, რადგან ხელმძღვანელი არა მყავდა.

ჩვენთვის სკოლა საპყრობილე იყო და ღმერთს იმას ვეხვეწებოდით, ჩქარა გათავებულყო სწავლა. დიდად უბედურია ის მასწავლებელი, რომელიც სკოლას საპყრობილედ გადააქცევს, და მით უმეტეს უბედურები არიან ისინი, ვინც ამ საპყრობილეში დაუმწყვდევიათ აღზრდა-განათლების სახელით.

სიყრმის დროს ერთი ზნე მჭირდა, — თუ ვისმე რაიმე უნარს ქვეყანა ღირსებად უთვლიდა, უეჭველად ამ ღირსების წარმომადგენელი მე უნდა ვყოფილიყავი: აქებდნენ კარგ მოკრივეებს — მეც ვკრიობდი, რომ კარგი მოკრივის სახელი მომეხვეჭა. აქებდნენ კარგ მოჭიდავეს — მეც ვჭიდაობდი, რათა ფალავნის სახელი გამეთქვა. მაგრამ სახელის მოხვეჭაზე სიარულმა საცინელ მდგომარეობაში ამომყოფინა თავი: იყო თელავში ვინმე ვანო, მთავარდიაკონი, რომელსაც ყველა ხმას უქებდა: „ძალიან ბასი აქვსო!“ ოჰ, ეს ჩამწვდა გულში: როგორ თუ ვანო მთავარს ბასი აქვს და მეც კი არ უნდა მქონდეს-მეთქი. ვიჭიფხებოდი, ვყვიროდი თავისთვის, ვიბერებოდი, ვატანდი ხმას ძალას, რომ გამებოხებინა და იქამდე დავტანჯე თავისი თავი, გულმა ტკივილი დამიწყო... გალობის მასწავლებელი როცა ხმებს არჩევდა შეგირდებიდან მგალობელთა გუნდის შესადგენად, საშინლად შეურაცხყოფილი დავრჩი, რომ მან ჩემში არც თუ ბასი, ტენორი, არამედ არავითარი ხმოვანება არა ჰპოვა.





# ტყის კომედია

## ვაჟა-ფშაველა


1. დაბურულ ტყეში მუხის ფესვებქვეშ თავს სონას ორმოში საუკეთესო გადარჩეული თხილი ჰქონდა შენახული ზამთრისთვის. ერთ მშვენიერ ღამეს კი...



2. ატირებულმა სონამ მეზობელ თებრონეს შესწივლა გასაჭირი. თებრონემ ეჭვი სიმშვილანთ ოჯახზე მიიტანა.



3. ამ დროს ძერა გამოჩნდა და ორივე თავი სოროში შეძვრა.



4. თავს თებრონეს კარზე სიძე ბიჭი ცელქა მოადგა. მას გაეგო სონას გასაჭირი.



5. ცელქა ბიჭმა თებრონე დააიძედა: – ახლავე წავალ და იმ ქურდებს მამასახლისსა და ნაცვალს თავზე დავაყენებო.



6. სიმშვილანთ ბნიდან დიდი ორომტრიალის, ტაშფანდურისა და ჭიანურის ხმა გამოდიოდა. უცბად მათ კერაზე მამასახლისი და ჩაფრები გამოიჭიმნენ. მოპარული თხილი ჩაფრებმა კალათში იპოვეს და ქურდები თოკებით შეჰკონეს.



7. ტუსალები ტყეში რომ მიჰყავდათ, უცბად მელიების ხავილი მოესმათ. თავებმა შეკონილი ტუსალები დაჰყარეს და თავს უშველეს.



მხატვარი  
რევაზ ცუცქერიძე


# სპილოები

სპილოების ორივე, აფრიკული და ინდური სახეობა, შეტანილია IUCN წითელ ნუსხაში.

მსოფლიოში ხმელეთის უდიდესი ცხოველებად სპილოებს მიიჩნევენ. დღეს არსებობს ორი სახეობა: ინდური სპილო და აფრიკული სპილო. ორივე მათგანი ცხელ, ტროპიკულ ზონაში ბინადრობს. აფრიკული სპილო ინდურ სპილოზე მძიმეა და მაღალი; აქვს უფრო ფართო ყურები და დიდი ეშვები.


ლიდერი სპილოების ოჯახში ყველაზე უფროსი მდედრი სპილოა. დედები თავიანთ ნაშიერებს მზრუნველობას არ აკლებენ და 10-15 წლის ასაკამდე გვერდიდან არ იცილებენ. მდედრი სპილო, მაშინაც კი, როდესაც თვითონ ხდება დედა, ოჯახს არ ტოვებს. სხვაგვარია მამრი სპილოების ბედი: ისინი 14-15 წლამდე უზრუნველად იზრდებიან, შემდეგ კი, უფროსი ძუ სპილოები ავიწროებენ მათ და ოჯახის დატოვებას აიძულებენ.

სპილო ერთადერთი ცხოველია, რომელსაც ხტომა არ შეუძლია.



სპილო (Elephantidae)  
 სამეფო - ცხოველები  
 ტიპი - ქორღიანები  
 კლასი - ძუძუმწოვრები  
 რიგი - ხორთუმიანები  
 ოჯახი - სპილოსებრნი

მოზრდილ სპილოებს ზეზეულად სძინავთ, მხოლოდ სპლიყვები წვებიან მინაზე გვერდულად და ისე იძინებენ. საინტერესოა მძინარე სპილოებზე დაკვირვება: მათ ხეზე მიყრდნობილებს სძინავთ და ისე აქვთ ხორთუმი პირში ჩადებული, როგორც პატარა ბავშვებს მუჭი, თან ხმადაბლა ფშვიანავენ.



სპილოს მაკეობა 22 თვეს გრძელდება. ახალდაბადებული სპლიყვი წონით 100 კგ-ს აღწევს და პირველივე დღეს დგება ფეხზე. ახალშობილი დღეში დაახლოებით 11 ლიტრ რძეს სვამს, დედა მათ 3 წლამდე კვებას.

ზრდასრული სპილო დღეში 150 კილოგრამამდე საჭმელს ჭამს და 300 ლიტრამდე წყალს სვამს.

# იკით თუ არა, ჩაიძ...

ძვ. წ. I ათასწლეულში ინდოეთში სპილოები განვრთნეს და პირველად ალექსანდრე მაკედონელის წინააღმდეგ ბრძოლებში გამოიყენეს.

მდინარე ჯელამის ნაპირებთან მდებარე პატარა სამეფოს მეფემ პაურავმა (პორმა) ალექსანდრეს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. მან ბრძოლის ველზე გამოიყვანა თავისი მთავარი ძალა — 200-მდე სპილო. მაკედონელები არ შეეპუნენ მტერს და ალყაში მოაქციეს თავის საყვარელ სპილოზე ამხედრებული მეფე. სპილო თავგანწირვით იცავდა პატრონს: დაჭრილი პორი ბრძოლის ველიდან გაიყვანა, ფრთხილად ჩამოსვა, მიწაზე დააწვინა და ხორთუმით ამოაცალა ისრები. როდესაც მაკედონელებმა გაქცეულებს მიაგნეს, გამხეცებულმა სპილომ პორი მაინც არ მიატოვა.

ამ ამბის შემსწრე ალექსანდრე მაკედონელი ისე აღფრთოვანდა, რომ დამარცხებულ მეფეს ერთგული სპილოს სანაცვლოდ სამეფოს დაბრუნებას დაჰპირდა.



ბევრმა სპილომ თავისი საქციელით მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი.


ყაზახეთის ზოოპარკში ცხოვრობდა სპილო ბატირი, რომელსაც 20 სიტყვის წარმოთქმა შეეძლო.

სპილო რუბიმ სახელი ხატვით მოიხვეჭა, მისი ნახატები ათასობით დოლარად შეფასდა.



სპილოებს ხორთუმით შეუძლიათ ერთბაშად 7,5 ლიტრი წყალი შეისრუტონ და თვითონაც გაგრილდნენ და სხვებიც განუწონ.

ამ გოლიათ ცხოველებს ძალიან უყვართ ბავშვები. ინდოეთში, ცვილონის კუნძულზე არაერთხელ უნახავთ ბავშვების მომვლელი სპილოები. მათ ასწავლიან აკვნის რწევას და ისინიც მშვენივრად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას, ბავშვმა თუ იტირა, სპილო ხორთუმით დაუნყებს აკვანს რწევას და თუ პატარა ვერ დააძინა, ყვირილით ატყობინებს მშობლებს.



# ხანცი ბიძა

გიორგი დათია პაპას ეზოში ჩავიდა. პაპა ძროხას, ლამაზოს, დასტრიალებდა თავს. ქვამარილის ნატეხი ახლოს მიუტანა და მერე გიორგის გახედა:

— მობრძანდი, ჩემო გიორგი, მობრძანდი! — გაუღიმა, — ერთი ეგ წყლიანი კასრი მომანოდე. გიორგიც მონდომებით დასწვდა კასრს, ორივე ხელით აითრია და ფეხების ფლარტუნით წაილო. მგონი უჭირდა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა.

— აჰა, პაპა, მოვიტანე, — ძლივძლივობით, ბრახუნით დადგა კასრი მიწაზე.

— აი, ყოჩაღ, გენაცვალე კაცობაში, — პაპამ კასრი ახლოს მიუდგა მწოლიარე ძროხას. ისიც დააცქერდა წყალს, ხაოიანი ენით დრუნჩი მოილოკა, კუდით აბეზარი ბუზები მოიგერია და რის ვაი-ვაგლახით წამოდგა.

— პაპა, რა სჭირს ლამაზოს? — იკითხა გიორგიმ.


— ლამაზოს ბოჩოლა ჰყავს მუცელში. ცოტა ხანში ბოჩოლა გამოვა და მოგესალმება, — გაიცინა პაპამ.

ერთიცი ვნახოთ, ლამაზო აწრიალდა, მეზობლებიც მოვიდნენ, დაეხმარნენ დათია პაპას და მალე განუწული ბოჩოლა მიწაზე აფართხალდა. პაპამ აიტაცა ხელში, მიუაღერსა და დედას გააშორა.



## გათაქსირე თაქსირები

სცადე, ისე გააწითლო კიდევ 16 უჯრა, რომ ყოველ შვეულ და თარაზულ რიგში, აგრეთვე ორივე დიაგონალზე ოთხ-ოთხი თეთრი და წითელი უჯრედი იყოს.



მხატვარი თეა მიქაია



გიორგი უკან აედევნა პაპას. ხან მარცხნიდან მოუარა, ხან მარჯვნიდან. ბოჩოლას აცქერდებოდა, თვალები გაფართოებოდა და სახეზე ალმური ასდიოდა. ასეთი ჯერ არაფერი ენახა.

— პაპა, მომეცი რა, მე დავიჭერ. — შეევედრა ბიჭი.

— არა, გენაცვალე, მძიმეა, როგორ შეიძლება.

— უთხარი რა ბოჩოლას... ახლა მაგან გაჩუქოს უფრო პატარა ბოჩოლა, ისეთი, მე რომ გულში ჩავიკრა.

— ეე, ჩემო კარგო. შენ გგონია, პასუხს გამცემს?.. საქონელი უტყვია.

— უტყვი რაღაა?

— ყველა, ცხოველია თუ ფრინველი, უტყვია ჩემო ბიჭო, ლაპარაკი არ შეუძლიათ. ჩვენ მეტყველები ვართ, — მიუგო პაპამ.

ბზო დააბინავა. ხელები დაიბანა და მერე ძროხისკენ წავიდა. ძროხა ამდგარიყო და წყალს კასრიდან ხარბად სვამდა.

გიორგი დაღონებული შეუდგა თავისი ეზოს აღმართს. ჩრდილში მდგარ საქანელა სკამზე ჩამოჯდა და თვალები მილულა.

ერთიც ვნახოთ, ჭიშკარს ბოჩოლა მოადგა, უკან სულ პანანინა ბზო მოაბაკუნებდა, — სწორედ ისეთი, გიორგი მშვენივრადაც რომ აიყვანდა და გულშიც ჩაიკრავდა.

გაიხარა გიორგიმ, პატარა ბოჩოლა გულში ჩაიკრა, სულ ტრიალ-ტრიალით ავიდა მალლა ეზოში და უეცრად ბზომ დაილაპარაკა: „ხომ აგისრულე, ჩემო გიორგი, ნატვრა?..“

გიორგი რაღაცამ გამოაფხიზლა — დედა მოსულიყო.

„ეს რა უჭირავს?“ — გაიფიქრა ბიჭმა.

— აი, რა მოგიტანე, — უთხრა დედამ, — პატარა ბოჩოლა, სწორედ ისეთი, დათია პაპას ეზოში რომ ნახე.

გიორგიმ ხისგან გამოთლილი თვალებბრი-ალა, ბორბლებზე შემდგარი ბოჩოლა გულში ჩაიკრა.



მხატვარი  
ნანა სანაია



$1 \times 8 + 1 = 9$	<p><i>მათემატიკური უცნაურობანი</i></p>	$1 \times 9 + 2 = 11111$
$12 \times 8 + 2 = 98$		$12 \times 9 + 3 = 11111$
$123 \times 8 + 3 = 987$		$123 \times 9 + 4 = 11111$
$1234 \times 8 + 4 = 9876$		$1234 \times 9 + 5 = 11111$
$12345 \times 8 + 5 = 98765$		$12345 \times 9 + 6 = 11111$
$123456 \times 8 + 6 = 987654$		$123456 \times 9 + 7 = 11111$
$1234567 \times 8 + 7 = 9876543$		$1234567 \times 9 + 8 = 11111$
$12345678 \times 8 + 8 = 98765432$		$12345678 \times 9 + 9 = 11111$
$123456789 \times 8 + 9 = 987654321$		



# ქსიანული ლექსები

მაცვალა მრევლიშვილი

## ბესიკო

ფეხზე დადგა ბესიკო,  
 რა ბიჭია, რა ბიჭი,  
 გადაადგა ბესიკომ  
 უკვე ერთი ნაბიჯი.  
 დგა-დგა! აი, დგას!  
 ფეხი უნდა აიდგას...  
 უცბად დაჯდა ბესიკო!  
 მისი გავლაც ეს იყო.

1953 წ. №11



მხატვარი  
 მალხაზ კუსაშვილი



ბივი ჭიჭინაძე

## მელა და მურიკა

შიშილისგან კუჭი ეწვის,  
 რა ქნას მელამ, აღარ იცის,  
 შეუთვალა ფერმის ქათმებს:  
 „მეკვლე არ გსურთ ახალი  
 წლის?“

მურიკელამ ჩაიცინა:  
 „განახარე ქათმებიო;  
 წამობრძანდი, წამობრძანდი,  
 ფერმის კართან  
 დაგხვდებიო!“

1968 წ. №12

ბიორგი წარეთელი

## კნუსაზის ფახუნთი

თეთრ ბურთს დასდევს  
 ფართიფურთით  
 ორი კატის ათი კნუტი,  
 აქეთ სუთი,  
 იქით სუთი,  
 გაიტაცეს თათით ბურთი,  
 სადღაც გაქრა მათი ბურთი!  
 თურმე იყო... ბატბუტი.  
 შევეკითხოთ კატუნებს  
 სომ არ შეაკნატუნეს?!

1969 წ. №9







გული ზუსბა

## ნემსაზის ბალიუი

ნემსს ბალიში შეუკერა  
მისაბნევად ბებომ,  
მზიამ ჰკითხა  
გაკვირვებით:  
– ნემსსაც ამინებო?!

1972 წ. №12



ცირა ძიტიაშვილი

## ბანსი

მდინარის ჰირას,  
მინდორში  
დანავარდობდა კვიცი,  
არ ეძებოდა, დასდევდა  
ბიჭი ზატარა, მკვირცხლი,  
ზურგზე მოქცევას  
ლამობდა,  
კვიცი გამოდვა ფიცხი...  
ბიჭი სირცხვილით  
იწვოდა,  
უეაწოები – სიცხით.

1998 წ. №2



ბაჟან სვანიძე

## უკვე ვიხით თვლა

მე და გია წიწილებს  
არ ვაშორებთ თვალს,  
თანაც ვითვლით:

ერთი,  
ორი,  
სუთი,  
შვიდი,  
ცხრა...

ვერ მოგვზარავს ვერც ერთს  
ქორი,  
უკვე ვიხით თვლა.

1972 წ. №12

# და წაიწ-წაიწუხი

ფიქრობთ, არ მოიძებნება ქვეყანაზე ბავშვი, ბურთის თამაში რომ არ უყვარდეს. დედამიწის ზურგზე მრავალნაირი ბურთაობაა გავრცელებული: ეს კალათბურთიო, ეს ხელბურთი და წყალბურთიო, ეს ფრენბურთი და ჩოგბურთიო, მაგრამ, ალბათ დამეთანხმებით, დიდი და პატარა ყველაზე მეტად მაინც ფეხბურთითაა გატაცებული. ვინც თამაშობს, ხომ თამაშობს, ვინც არა და, გულშემატკივარია: ამონეშებული ჰყავს ერთი რომელიმე გუნდი და ყველზე მეტად მისი გამარჯვებები ახარებს.

ამჯერად სწორედ ფეხბურთზე მოგიხსრობთ.

სად და როგორ გაჩნდა ეს ყველასთვის სასურველი და საყვარელი თამაში? ამ კითხვაზე აუცილებლად გვიპასუხებთ, ინგლისშიო, მაგრამ, რომ იცოდეთ, ბურთს ჯერ კიდევ სამი ათასი წლის წინათ დასდევდნენ ეგვიპტელები, ჩინელები, ბერძნები, რომაელები... ჩინელები იმდენად სერიოზულად უყურებდნენ ამ თითქოს ჩვეულებრივ, უწინარ გასართობს, რომ ერთი ასეთი წესიც კი ჰქონიათ: დამარცხებულებს ბამბუკის ჯოხებით სცემდნენ თურმე.

დღევანდელი ფეხბურთი კი მართლაც ინგლისში აღმოცენდა და დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე IX საუკუნიდან გავრცელდა.

თავდაპირველად ფეხბურთს თამაშობდნენ ქალაქის ქუჩებსა და სოფლებში. გუნდებში ასეულობით მოთამაშე იყო და შეჯიბრება ხშირად ჩხუბითა და აყალმაყალით მთავრდებოდა. იმის გამო, რომ „დიდი ბურთის გორება“ ასეთ ხმაურსა და ალიაქოს იწვევდა, 1313 წელს ინგლისის მეფე ედუარდ II-ის ბრძანებით ქვეყანაში ეს თამაში აიკრძალა. მისი მეფობის ხანაში თუ ვინმეს ფეხბურთის თამაშზე წაასწრებდნენ, ციხეში სვამდნენ. 1389 წელს კი რიჩარდ II კიდევ უფრო შორს წავიდა და ფეხბურთის თამაშისთვის სიკვდილით დასჯაც კი დააწესა. ეს კანონი მხოლოდ 1603 წელს გაუქმდა.

# ფეხბურთი



- ცხადია, ფეხბურთი მუდამ ასეთი როდი იყო. მაგალითად, წინათ კარის ნაცვლად ორი ბოძი იყო ჩარტობილი. ფეხბურთელებსაც არ ეცვათ დღევანდელივით მაისურები, ტრუსები და ბუცები – ვისაც როგორ მოეპრიანებოდა, იმგვარად ჩაცმული თამაშობდა. პირველად ფეხბურთს მსაჯიც არ ჰყავდა. მერე, როცა მსაჯი გაჩნდა, სასტვენის ნაცვლად ხელში ზარი ეჭირა და ისე დარბოდა მოედანზე.



- 1857 წლის 20 ოქტომბერს ინგლისში შეიქმნა პირველი ფეხბურთის კლუბი.

- 1863 წელს ლონდონში გამოქვეყნდა თამაშის პირველი წესები, რომელიც 6 მუხლისგან შედგებოდა:

- თავდაპირველად ფეხბურთში, ისე როგორც რაგბიში, ნებადართული იყო თამაშის დროს ბურთის ხელით დაჭერა, მაგრამ აკრძალული იყო ბურთით ხელში მოძრაობა. რაგბისგან ფეხბურთი საბოლოოდ პირველად 1869 წელს გაიმიჯნა, როცა ფეხბურთელებისთვის (თვით მეკარეებისთვისაც კი) აიკრძალა ხელით თამაში.

- 1871 წელს მეკარეებს პირველად დართეს ნება, ხელით ეთამაშათ მხოლოდ კართან ახლოს, 1902 წელს კი ეს წესი მთელ საჯარიმოზე გავრცელდა. 1909 წლიდან მეკარისთვის შემოიღეს გუნდის სხვა წევრებისგან განსხვავებული ფორმა;





- 1933 წელს ინგლისის თასის გათამაშების ფინალში გუნდები პირველად გამოვიდნენ დანომრული მაისურებით, რაც ოფიციალურად 1939 წელს დაკანონდა.

- 1878 წელს საფეხბურთო მინდორზე პირველად გამოჩნდა მსაჯი – მანმადეის თამაშს მოედნის გარედან აღეგნებდა თვალს.



- 1891 წელს საფეხბურთო კარს პირველად გაუკეთეს ბადე და შემოიღეს 12-იარდიანი (11-მეტრიანი) დარტყმა (პენალტი);

- 1885 წელს ინგლისში დაკანონდა პროფესიონალური ფეხბურთი;



- პირველი მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში 1930 წელს ჩატარდა ურუგვაიში.

- სპორტის ეს სახეობა ქართულ პრესაში პირველად 1890 წელს მოიხსენიება.

- 1906 წელს თბილისში ჩამოყალიბდა „ბურთის ფეხით მოთამაშეთა“ პირველი გუნდი.



ახლახან დამთავრდა კიდევ ერთი სპორტული ზეიმი – ევრო-2012 – ევროპის რიგით მე-14 საფეხბურთო ჩემპიონატი. გთავაზობთ ამ ტურნირის ყველაზე მნიშვნელოვან ამბებს:

- ევროპის ჩემპიონატი წელს პირველად ჩატარდა აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში.

- ევროპის ჩემპიონატის ისტორიაში ესპანეთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება შეძლო: ის წელს ზედიზედ მეორედ გახდა ტურნირის გამარჯვებული.

- ევროპის თასი, რომელიც ესპანეთის ნაკრებს ერგო, დაახლოებით 20 ათას ევროდ იყო შეფასებული. ის 8 კილოგრამს იწონის და სიმაღლით 60 სანტიმეტრია.

- წლევეანდელი ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, როგორც წინა წლებში, 16 ნაკრები იბრძოდა. 2016 წლიდან ამ შეჯიბრების მონაწილეთა რიცხვი 24-მდე გაიზარდა.

- ევროპის ჩემპიონატის ისტორიაში ჯერ ვერც ერთმა ბომბარდირმა ვერ მოხსნა მიშელ პლატინის რეკორდი: 1984 წელს ფრანგმა ფეხბურთელმა საფინალო ეტაპზე 5 მატჩში 9 გოლი გაიტანა.

- წლევეანდელი ჩემპიონატის მონაწილეთაგან ინგლისის ნაკრები ერთადერთია, რომლის ყველა წევრი თავისი ქვეყნის გუნდებში თამაშობს.

- ირლანდიის ნაკრებში კი არ არის არც ერთი ფეხბურთელი, მშობლიური ქვეყნის ჩემპიონატში რომ გამოდიოდეს.

- ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირად დასახელდა ფერნანდო ტორესი.

- 2016 წელს ევროპის ჩემპიონატი საფრანგეთში გაიმართება. ეს ქვეყანა მესამედ უმასპინძლებს ამ ტურნირს.





სიხი ბელაშვილი

# ვეზისაფი





# გზააზნეული მგზავრები

	ჩამოსვლა	გაგზავრება
თბილისი	-----	07:00 (1 ივნისი)
მცხეთა	: [ ]	: [ ]
ქარელი	: [ ]	: [ ]
გორი	: [ ]	: [ ]
საშური	: [ ]	: [ ]
სანაგაური	: [ ]	: [ ]
წესტაშონი	: [ ]	: [ ]
ქუთაისი	: [ ]	: [ ]
საბურთაო	: [ ]	: [ ]
ღანსუთი	: [ ]	: [ ]
ქობულეთი	: [ ]	: [ ]
ბათუმი	: [ ]	-----

მატარებელი „თბილისი-ბათუმი“ თბილისის რკინიგზის სადგურიდან 1 ივნისს გაემგზავრა. ის თითოეული ქალაქის სადგურში 30 წუთს ჩერდებოდა, მაგრამ უამინდობის გამო დიდი შეფერხებებით მოძრაობდა. რომელ რიცხვში და რომელ საათზე ჩავა მგზავრი თბილისიდან ბათუმში, თუ ცნობილია, რომ:

1. მატარებელი თბილისიდან გავიდა დილის 7 საათზე;
2. ერთი დღე-ღამე და 12 საათი მოანდომა მცხეთაში ჩასვლას;
3. ორი საათი დასჭირდა ქარელამდე;
4. ქარელის სადგურიდან გორამდე გზას მოანდომა 2 სთ. და 50 წთ.;
5. მგზავრების ჩამოსხმის შემდეგ გეზი აიღო საშურისკენ, სადაც 100 წთ-ში ჩავიდა;
6. შემდეგ მატარებელი 5 საათს მიდიოდა ხარაგაულამდე და კიდევ ორსაათ-ნახევარი დასჭირდა ზესტაფონამდე;
7. ზესტაფონიდან ქუთაისამდე მანძილი დაფარა 4 სთ-სა და 40 წთ-ში, სამტრედიამდე კი 9 საათი მოანდომა;
8. მომდევნო სადგურში – ღანსუთში – 15 სთ-სა და 10 წთ-ში ჩავიდა;
9. ქობულეთამდე კიდევ 1 დღე-ღამე მოანდომა და ზედმეტად 2 საათს მოუნია სადგურში დგომამ;
10. შემდეგ კი რვასაათ-ნახევარი დასჭირდა საბოლოო პუნქტამდე, ბათუმის სადგურამდე მისასვლელად.



რ

კ

ი

ნ

ვ

ო

ძ

შ

ჩ


ფეხბურთის სამშობლო

რა მოიპარა ბაჭიამ?

პირველი საპატრიარქო ტაძარი საქართველოში

აწინდელ რაბუნე

რა უნდა ჩაიცვა ტალახში?



„ტყის კომედის“ ვმირი

რა უფასო კვლავ დაგაქვს?

... იფიქრებ 'თავიწინაგადავ'

საბავშვო ჟურნალი

ტყის მკურნალი

ევრო 2012-ის გამარჯვებული ფეხბურთში

ხბო, იგივე ... ცივი ...

მოჭიდავე, იგივე ...

მხატვარი სპილო

რა ერქვა ვაჟა-ფშაველას დედას?

სბელეთის უდიდესი ცხოველი

ვინ აუხრულა ბელს ოცნება

თერთმეტმეტრიანი საჯარიმო ფეხბურთში



# ა ბ გ დ ე ვ ზ ს თ

ანაგრამა ნიშნავს სიტყვაში ასოების გადასმას ისე, რომ სხვა სიტყვა მიიღოს. მაგალითად: დილა – ადლი, ჯოგი – გოჯი.

სცადეთ და გადააქციეთ ეს სიტყვები სხვა სიტყვებად:

მ ე ტ რ ი

--	--	--	--	--	--

ქ ი ლ ა

--	--	--	--

ს ა ა თ ი

--	--	--	--	--

მ ლ ლ ი

--	--	--	--

ლ ე ძ ს ი

--	--	--	--	--

მ ი ნ ა

--	--	--	--

კ ე ვ რ ი

--	--	--	--	--



ჟურნალი „დილა“ კონკურსისთვის მიიღებს სიუჟეტურ ფოტოებს. კონკურსის პირობები იხილეთ facebook-ის გვერდზე – საბავშვო გამომცემლობა დილა

დილა


# საყვანელო ენციკლოპედია

## საყვანელო



შურნალის ამ ნომერს ახლავს შვიცნობითი-გასართობი თემატიკა – ლოტო, ლოტოში მოცემულ ყველა კითხვაზე პასუხს ამ ნომერში იპოვით.

## საყვანელო ენციკლოპედია



## საყვანელო ბიბლიოთეკა



## სხვადასხვა გამოცემები



## საქართველოს ძალაქები



ყდაზე ნახატი: ლაშა სულაბაური  
გამომცემელი: ააიპ საბავშვო მწერლობის განვითარების ასოციაცია  
მისამართი: ზანდუკელის ქ. 1  
<http://www.dila.ge>  
ელ-ფოსტა: [dila1904@yahoo.com](mailto:dila1904@yahoo.com)  
ფასი: 3 ლარი

დაგვიეგორდით  
Facebook/საბავშვო გამოცემლობა დილა